

ლ ე ო პ ო ლ დ ჯ ა დ ჯ ა მ ი დ ე  
LEOPOLD DZADZAMIDZE

1922-1966

ფერწერა  
PAINTING



ლეოპოლდ ძაძამიძე  
*Leopold Dzadzamidze*

ედღვნება დედის, ჟოზეფინა ძაძამიძის და ბებუის, პოლინკა კობახიას ხსოვნას,  
მათი სურვილის ასრულების ნიშნად.

პეტრე და ნუგზარ უბერები

The catalogue is dedicated to the loving memory of our mother Josephina and  
our grandmother, Polinka.

Petre and Nugzar Uberi

ლეოპოლდ დაძამიძე თავისი დროის გამორჩეული მხატვარია. არტისტი თანამედროვეებთან ერთად ცდილობდა ახალი პრინციპები დაემკვიდრებინა ქართულ ხელოვნებაში. მისი შემოქმედება ყოველთვის ასახავდა ძირითად პრობლემატიკას და უშუალო რეალობას.

20 ნოემბერი ლეოპოლდ დაძამიძის დაბადების დღეა. მხატვარს დღეს 96 წელი შეუსრულდებოდა.

მისი ნამუშევრების დათვალიერება ჩვენს მუზეუმში შეგიძლიათ!

ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის წარდგინება

20. 11. 2018

Leopold Dzadzamidze is one of the most prominent artists of his time. Together with his contemporaries, he tried to establish new principles in Georgian art. His creative work always reflected essential problems and the reality.

20th November is Leopold Dzadzamidze's birthday. He would have turned 96 years old.

Visitors can see his artworks at our museum.

Georgian Museum of Fine Arts

20. 11. 2018

1922 წლის 20 ნოემბერს დაიბადა ლეოპოლდ ძაძამიძე!

ლეოპოლდ ძაძამიძე ქართული საბჭოთა მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. სოციალისტურ რეალიზმსა და პოსტსტალინისტურ ფერწერაში ევროპული მიმდინარეობებიდან მისაღები მხოლოდ იმპრესიონისტული სტილი იყო, რადგან იგი შინაარსს ხალხისთვის გასაგებ ენაზე ასახავდა ანუ უარყოფდა ავანგარდულ ელემენტებს.

არაერთი ქართველი მხატვარი 1950-60-იან წლებში ქმნიდა იმპრესიონისტულ ნამუშევრებს, რომელთა ნახვა ჩვენს მუზეუმშიც შეგიძლიათ: ჯიბსონ ხუნდაძე, ედმონდ კალანდაძე, აპოლონ ქუთათელაძე და ა.შ. მათი იმპრესიონისტული ნამუშევრები ასახავს მხატვართა შემოქმედების მხოლოდ საწყის ეტაპს. ლეოპოლდ ძაძამიძე კი მათ შორისაა, ვინც იმპრესიონიზმში წამყვან მიმდინარეობად აირჩია და თითქმის ყველა ნამუშევარი ამ სტილშია გადაწყვეტილი. იმპრესიონიზმი ერთგვარად წარმოადგენდა არტისტულ პოზიციას, ამ ფორმით მხატვარი უკუაგებდა საბჭოთა იდეოლოგიას და აერთიანებდა ევროპულ, ქართულ და რუსულ კულტურას.

ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის წარდგინება  
20. 11. 2019

Georgian painter and graphic artist Leopold Dzadzamidze was born on November 20, 1922.

Leopold Dzadzamidze is one of the most prominent figures in the soviet Georgian painting. In socialistic realism and post-Stalinist painting out of European tendencies acceptable was only impressionistic style because this last one depicted the plot legibly for ordinary people and rejected avant-garde elements.

Most of the Georgian painters in the 1950-60s created impressionistic artworks, which you are able to view in our museum: Jibson Khundadze, Edmond Kalandadze, Apolon Kutateladze, etc. their impressionistic works display the first stage of aforementioned painter's creativity. Leopold Dzadzamidze belongs to them who chose impressionism as a leading tendency and almost many works in his creativity are painted in this style.

Impressionism certainly represented an artistic position; with this last one painter rejected soviet ideology and unified European, Georgian and Russian cultural models.

Georgian Museum of Fine Arts  
20. 11. 2019

ლეოპოლდ ძაძამიძე 1950-იანი წლების იმ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია, რომელიც ხელოვნებაში ახალი პრინციპების დამკვიდრებას ცდილობდა. მის შემოქმედებაში აისახა ამ პერიოდის ქართული ხელოვნების ძირითადი პრობლემატიკა - რეალობის უშუალო აღქმა და ამ ხედვის ადეკვატური სახვითი ენის შემუშავება. დახვეწილი კოლორისტის შემოქმედებითი პოტენციალი ყველაზე უკეთ პეიზაჟურ ჟანრში ვლინდება. 1960-იან წლებში ლეოპოლდ ძაძამიძე ბევრს მოგზაურობდა და მუშაობდა პლენერზე. მისი ურბანული და სოფლის პეიზაჟების შესრულების ეტიუდური მანერა კამერულ განწყობას ქმნის. სოცრეალისტური, იდეოლოგიზებული პეიზაჟური მოტივებისგან განსხვავებით ლეოპოლდ ძაძამიძის ნამუშევრები გამოირჩევა ნათელი ფერადოვნებითა და ლირიზმით, რაც მის შემოქმედებას XX საუკუნის დასაწყისის ფრანგული რეალისტური პეიზაჟის ტრადიციებთან აახლოებს.

ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის წარდგინება  
2018

Leopold Dzadzamidze is a representative of the 1950s youth who sought to introduce new principles in art. His works reflect the key issues relevant to the Georgian art at the time, such as direct understanding of reality and the development of an adequate visual language for this vision. The creative potential of this refined colorist is best revealed in the genre of landscape painting. In the 1960s, Leopold Dzadzamidze traveled extensively and worked en plein air. His sketch-like method of urban and rural landscape painting instills chamber music-like sentiments. Unlike the idealized landscape motifs of socialist realism, Dzadzamidze's works feature colorful brightness and lyricism, which makes his oeuvre akin to the traditions of the French realistic landscape painting in the early 20th century.

Georgian Museum of Fine Arts  
2018



ქეთევან მაღალაშვილი. ლეოპოლდ ძაძამიძის პორტრეტი  
ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი  
Ketevan Magalashvili. Portrait of Leopold Dzadzamidze. Oil on canvas  
Georgian Museum of Fine Arts

## ლეოპოლდ (ბოჩია) ძაძამიძე

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ლეოპოლდ ძაძამიძე სახელოვან 50-იანელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას იწყებს. ორმოცდაათიანი წლები, ისევე როგორც მთელს საბჭოთა ხელოვნებაში, ქართულ ხელოვნებაშიც მნიშვნელოვანი ძვრებით აღინიშნა. ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული მხატვრების ახალგაზრდა თაობამ მძიმე და ამავე დროს საპატიო მოვალეობა იტვირთა - ახალი პრინციპები დაამკვიდრა ხელოვნებაში, პრინციპები, რომლებიც თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების ლოგიკურ, ბუნებრივ ნაყოფს წარმოადგენდა. ამაში, უპირველესად, იგულისხმება ხედვის საკუთარი მეთოდის გამომუშავება, სინამდვილისადმი უშუალო დამოკიდებულება, გაძლიერებული ყურადღება ფერისადმი და, ამდენად გამძაფრებული ემოციონალიზმი.

ხანგრძლივი თავშეკავების შემდეგ ეს პრინციპები აღსარებას წააგავდა. ცოტა თავბრუდახვევაც იყო ამ აღსარებაში, როდესაც აღმოჩნდა, რომ ფერწერა შედგენილი სიტყვაა და იგი ორი ნაწილისაგან შედგება. სწორედ ამით აიხსნება ორმოცდაათიანელთა ნამუშევრებისათვის დამახასიათებელი ჟღერადი, ნათელი და ჰაეროვანი კოლორიტი.

ლეოპოლდ დაძაძიძის ნამუშევრები მზითა და სინათლითაა აღსავსე. მხატვრობაში მისთვის განმსაზღვრელი კომპონენტია ინტენსიური, მსუბუქად დაწერილი, გამჭვირვალე ფერი. როგორც კოლორისტი, იგი დახვეწილ გემოვნებასა და პროფესიონალიზმს ავლენს. მისი ნამუშევრები მოწმობენ, რომ მხატვარი კარგად იცნობდა XX საუკუნის მსოფლიო რეალისტური ხელოვნების უდიდესი ოსტატების გამოცდილებას და არა მარტო იცნობდა, არამედ ცდილობდა, შემოქმედებითად გაეაზრებინა, გადაემუშავებინა იგი, რათა პოზიტიურ მიღწევებზე დაყრდნობით, გამოსავალი მიეცა საკუთარი გრძნობებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ძირითადი ჟანრი, რომელშიც მხატვარი მუშაობდა, პეიზაჟი იყო. ქალაქის თუ სოფლის პეიზაჟი მას საშუალებას აძლევდა დაკვირვებით ემუშავა ფერადოვნების პრობლემაზე, უნატიფესი ნიუანსები დაენახა გარემომცველ სამყაროში. ზოგჯერ იგი ფერების გაბედულ დაპირისპირებასაც მიმართავდა, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა, რბილი, ჰაეროვანი და მთლიანი სამყარო შეექმნა თავის ნამუშევრებში.

ფერადოვნების ეს წყურვილი აიძულებდა ლ. დაძაძიძეს ემოგზაურა და ინტენსიურად ემუშავა სხვადასხვა მხარეში - სხვადასხვა განათებასა თუ წელიწადის ნებისმიერ დროში. მის ნამუშევრებში აისახა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე: თბილისიდან შავი ზღვისპირეთამდე, ვარძიდან სვანეთამდე. მან შექმნა პეიზაჟთა მთელი რიგი სერიები,

აგრეთვე ჩრდილო კავკასიის, ბალტიისპირეთისა და რუსეთისა.

ინტენსიური კოლორისტული ძიება ზოგჯერ წონასწორობის დაკარგვის საშიშროებასაც შეიცავს ხოლმე. ლეოპოლდ დაძაძიძემ თავი აარიდა ამ საშიშროებას, რადგან ფერი არასდროს გამხდარა მისი შემოქმედების თვითმიზანი და მისთვის ბუნებაში არსებული თანაფარდობა ყოველთვის ამოსავალ წერტილად და კამერტონად დარჩა.

ეს თვისებები კარგად გამოჩნდა მხატვრის ნამუშევართა პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც 1982 წელს, თბილისში სურათების გალერეაში მოეწყო, მართალია ლეოპოლდ დაძაძიძე სხვადასხვა გამოფენის ხშირი მონაწილე იყო, მაგრამ ამ ვერნისაჟმა, სადაც თავმოყრილი იყო მისი მრავალი ნამუშევარი, საზოგადოებას დაანახა შემოქმედის მთლიანი სახე, გამოავლინა იგი, როგორც ფერის გრძნობითა და დახვეწილი გემოვნებით დაჯილდოებული მხატვარი.

აქვე უნდა აღინიშნოს ლეოპოლდ დაძაძიძის მხატვრობისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი თავისებურება - რა ზომაც არ უნდა ჰქონდეს ნამუშევრებს, ისინი ერთგვარად კამერულ ხასიათს ატარებენ. ამ თვისების საფუძველი კი თვით მხატვრის ხასიათში სუფევდა, იგი ბუნებას მთლიანობაში, შესაძლოა ოდნავ მიამიტად და სადად ხედავდა და ჩვენც ასეთადვე წარმოგვიდგინა.

ლ. დაძაძიძე წლების მანძილზე ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას და, ბუნებრივია, როგორც მხატვარი, განვითარებას განიცდიდა, მაგრამ ეს იყო თავდაჭერილი, თანდათანობითი განვითარება. მის ნამუშევრებში ვერ ვხედავთ უკიდურესობებს,

იგი ცდილობდა, ერთი უმთავრესი ამოცანა გადაეჭრა - შეექმნა რეალობის ერთიანი, განონასწორებული, პოეტური სინატიფით აღსავსე სურათი.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თვისება კარგად ჩანს მის საუკეთესო ნამუშევრებში, როგორიცაა „შემოდგომა ვარძიაში“ (1955). მხატვარი თავისუფლად ფლობს ფერწერულ ტექნიკას. წითელი, ყვითელი, რუხი მონასმები ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს. მაყურებელი ტკბება ფერთა ჟღერადობითა და მათი თავშეკავებული სილამაზით.

მოკლე, დინამიური მონასმები და რაღაც უთქმელი, იდუმალება ახლავს „ძველ თბილისს“ (1961), დეტალები ოდნავაა მინიშნებული, რითაც მხატვარი აღწევს საკუთარი განცდისა და შთაბეჭდილების მაყურებელამდე მიტანას.

ლეოპოლდ ძაძამიძის ერთი საუკეთესო პეიზაჟთაგანია „კლაიპედა“ (1964), მაღალი წერტილიდან არის დანახული ქალაქის ხედი, რომელსაც მდინარის სპირალისებული კალაპოტი ჰყოფს. მდინარე, სანაპირო, შენობები - ყველაფერი რბილად და გამჭვირვალედ არის დაწერილი, თბილი რეფლექსები და ანარეკლი მდინარის ზედაპირზე ძალზედ მიმზიდველად გამოიყურება. ეს სურათი გამოსახვის რბილი მანერითა და კომპოზიციითაც ერთგვარად შორეულად მოგვაგონებს ალბერ მარკეს (1875-1947) ფერწერას.

ბალტიისპირეთის სერიაში მხატვარი ხშირად მიმართავს ერთსა და იმავე მოტივს, მაგრამ ამ სერიის ყოველი სურათი განსხვავებული კოლორითაა და შესაბამისად, სხვაგვარი განწყობილებით ხასიათდება, მაგალითად: „ზამთარი

კლაიპედაში“ (1964), ლეოპოლდ ძაძამიძე - ეს სამხრეთელი კაცი, აშკარა დაინტერესებას იჩენდა ჩრდილოური ზამთრის გამოსახვისადმი, იქნებ იმად იყო მიმზიდველი ასეთი ზამთარი, უცხო რომ იყო მისთვის, ვინ იცის, მაგრამ მხატვარი ამ, მისთვის უცხო განწყობილებასაც ითავსებდა და საკუთარ ხასიათს აძლევდა. 1960 წელს დაწერილი „ზამთარი“ ძალიან თეთრი, გამჭვირვალე და იმავე დროს თბილი და ნატიფია. მხატვარმა თავისი ოსტატობის წყალობით, სამხრეთული მზე აანთო ჩრდილოურ, ცივ და პირქუშ ზამთარში. ამის მაგალითია „დეკემბერი“ (1965), „თოვლი ლატვიაში“ (1963) და „პალანგა. შემოდგომა“ (1964). ბევრი თოვლის მიუხედავად, ლეოპოლდ ძაძამისეული ზამთარი ადამიანურად თბილი და ესთეტიკურად რაფინირებულია.

რაღა შეიძლება ითქვას მხატვრის მიერ მშობლიური ქვეყნის კუთხეების ასახვაზე, კუთხეებისა, რომლებიც თვით ბუნებამ შეამკო ინტენსიური, თბილი ფერთა და განათების სიმძაფრით, ამ ნამუშევრებს, გარკვეულად, ეტიუდურობა ახასიათებთ და, რაღა თქმა უნდა, დაუფარავი სიყვარული და აღტაცება, „ძველი ხიდი“ (1950), „საღამო სამეგრელოში“ (1951), „ძველი გაგრა“ (1960), „პეიზაჟი“ (1960), „მეგრული სამზადი“ (1961), „ბოტანიკური ბაღი ზუგდიდში“ (1961), „ძველი ქუთაისი“ (1962), „უზო გურიამი“ (1963), „წისქვილთან“ (1964), „მესხეთი“ (1965), „იმერეთი“ (1962 და 1965) და სხვები თითქოს მოსამზადებელი ეტიუდებია სურათებისათვის, რომელთა განხორციელება არ დასცალდა მხატვარს. ლეოპოლდ ძაძამიძე თავის ნამუშევრებში

შეგნებულად ერიდებოდა გართულებებს. მან უმარტივესი საშუალებით მიაღწია სასიამოვნო ფერწერულ ერთიანობას. მისი ტილოებისათვის დამახასიათებელი უბრალოება, ცხადია, დიდი ოსტატობისა და გამოცდილების შედეგს წარმოადგენს.

ლეოპოლდ დაძაძიძე სხვადასხვა მხარის პეიზაჟებს ქმნიდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი ყოველთვის საკუთარი ხედვისა და განცდის ერთგული რჩებოდა. მიუხედავად ამისა, ფერმწერი ახერხებდა გამოეკვეთა ტიპური ნიშნები. სიმარტივე და ტიპურობა ლ.დაძაძიძის მხატვრობის საიდუმლოს წარმოადგენს და რაც მთავარია, დაძაძიძისეული სიმარტივე, მხატვრის უშუალო ემოციიდან, მისი განცდიდან მომდინარეობს და არა აბსტრაქტულ-თეორიული კონსტრუქციებიდან. ამითვე აიხსნება მისი ნამუშევრების განზოგადების ხარისხიც.

ის, რომ ლეოპოლდ დაძაძიძე ყოველთვის რეალობიდან გამომდინარეობდა, ამაზე მეტყველებს მისი 1965 წელს დაწერილი „სვანეთი“, ოდნავ პირქუში, რუხი, მომწვანო და ლურჯი კოლორით.

ლეოპოლდ დაძაძიძის ნამუშევრები ცხადყოფენ, რომ სადაც არ უნდა ყოფილიყო მხატვარი, იგი ყოველთვის საკუთარი თავისა და მრწამსის ერთგული რჩებოდა, ყოველდღე წრფელად უყურებდა სამყაროს. ეს სურათები ავლენენ მათი ავტორის თბილ და ჰუმანურ დამოკიდებულებას გარე სამყაროსა და ადამიანებისადმი.

ვინ იცის, რა სიმაღლეებს მიაღწევდა ლეოპოლდ დაძაძიძის შემოქმედება, დაუჯერებლად ბრმა შემთხვევით გამოწვეული, უეცარი სიკვდილი რომ არა!

ყოველ შემთხვევაში, მისი წყნარი, კამერული ხასიათის ნამუშევრები და საერთოდ, მთელი მისი შემოქმედება დარჩა თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიაში, როგორც კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უდრტვინველად უნდა აკეთო საყვარელი საქმე და ბოლომდე მიჰყვე საკუთარ არჩევანსა და გულის ძახილს.

გიორგი ხუციშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ლეოპოლდ დაძაძიძის გამოფენის კატალოგი. 1988 წელი

# Леопольд Дзадзамидзе

Заслуженный художник ГССР Леопольд Дзадзамидзе один из представителей славного поколения художников 50-ых годов.

После окончания Тбилисской Академии художеств Л. Дзадзамидзе приступает к независимой творческой работе. 50-ые годы в Грузии, так же, как и во всем советском искусстве, были отмечены серьезными сдвигами в искусстве. Поколение пятидесятых годов взяло на себя тяжелую, но в то же время почётную миссию – утвердить новые принципы в изобразительном искусстве, принципы, логически вытекающие из развития современного искусства. Под этим подразумевалась способность к выработке собственного творческого метода, непосредственное отношение к природе и людям, усиленное внимание к проблемам цвета, повышенная эмоциональность и т.д.

Эти новые принципы выглядели как прозрение. Внезапно стало понятным, что живопись, слово, обозначающее-живописание. Именно этим и объясняется характерный для работ этого поколения звучный, светлый, воздушный колорит.

Работы Леопольда Дзадзамидзе полны солнца и света. Главным для него был интенсивный, легко написанный, прозрачный цвет, и в этом стремлении он проявил утонченный вкус и высокий профессионализм. Его работы свидетельствуют о том, что хорошо был знаком с позитивным опытом великих мастеров мирового реалистического искусства XX века, и не только был знаком, но и творчески преобразовывал его, ради выражения собственных чувств и впечатлений.

Основной жанр, в котором работал Л.Дзадзамидзе, это – пейзаж. Пейзаж давал ему возможность внимательно работать над колоритом, улавливать тончайшие нюансы в окружающей действительности. Иногда он прибегал к смелому противопоставлению цветов, однако это не мешало ему создавать в своих полотнах, мягкий, воздушный и цельный мир.

Видимо, именно поиск цвета заставлял художника много путешествовать и работать в разных краях, при разном освещении и времени года. В его работах отражены почти все уголки Грузии – от Тбилиси до Черноморского побережья, от Вардзиа до Сванети. Он создавал серии пейзажей Северного Кавказа, Прибалтики и России.

Поиски интенсивного цветового решения таят в себе и некоторую опасность абсолютизации цвета. Леопольд

Дзадзамидзе счастливо избежал этой опасности, так как цвет никогда не был для него самоцелью. Реально существующее в природе соотношение цветов, служило ему отправной точкой в работе.

Все эти качества ярко проявились на персональной выставке работ Леопольда Дзадзамидзе в 1982 году, в Государственной картинной галерее Грузии. Он был участником разных выставок, но именно эта выставка показала широкой общественности Леопольда Дзадзамидзе – художника, обладающего тонким вкусом и редким даром цветового воплощения действительности.

Необходимо отметить характерную черту его творчества. Невзирая на размеры картинной плоскости, его работы носят камерный характер. Это, по-видимому, объясняется способностью художника, видеть единый, нерасчлененный мир, просто и немножко наивно воспринимать его и таким же воплощать в своих работах.

В своем творчестве, Леопольд Дзадзамидзе, естественно, претерпевал ряд изменений. Но это было сдержанное, постепенное развитие. Перед ним всегда стояла одна цель, создать единую, уравновешенную, поэтическую картину реального мира. Все эти качества художника хорошо видны в лучших его работах. К примеру: „Осень в Вардзии“ (1955). Художник свободно владеет живописной техникой. Красные, жёлтые, серые мазки гармонично взаимодействуют друг с другом. Мажорность мазков и фиолетовая дымка гор Месхети очаровывают зрителя. И это тихая, сдержанная красота.

Короткие, динамичные мазки и трудно передаваемая задумчивость характеризует его „Старый Тбилиси“ (1961), детали едва проработаны, но художнику удается донести до зрителя собственное впечатление и настроение.

Одна из лучших работ Л.Дзадзамидзе „Клайпеда“ (1964) – это вид города сверху, разрезанного спиралевидным течением реки. Поверхность реки, набережная, здания написаны мягко и прозрачно. Теплые рефлексы и отражения в реке весьма удачны. Мягкой трактовкой поверхности реки, некоторым образом, и композицией, работа отдалённо напоминает знаменитые пейзажи Альбера Марке (1875-1947).

В серии прибалтийских пейзажей, художник часто обращается к одним и тем же мотивам, но каждая работа этой серии отличается собственным колоритом и, соответственно, передает разное настроение. К примеру: „Зима в Клайпеде“ (1964). Леопольд Дзадзамидзе – коренной южанин, явно пленён северной зимой. Возможно потому, что такая зима непривычна ему и поэтому интересна. Кто знает, но даже это необычное для художника

впечатление, он перерабатывает и придает ему собственный характер. В 1960 году написана „Зима“, вся белая и удивительно прозрачная. Художник с большим мастерством зажгёт южное солнце в холодную и долгую северную зиму. Или к примеру: „Декабрь“ (1965), „Снег в Латвии“ (1963) или „Паланга. Осень“ (1964). Несмотря на обилие снега, дзадзамидзевская зима выглядит по человечески тёплой и эстетически рафинированной.

Что же можно сказать о пейзажах, родной художнику Грузии, которую сама природа наделила интенсивным тёплым цветом и контрастным освещением? Эти работы выполнены с любовью и восторгом, на одном дыхании, что и придает им некоторую этюдность. „Старый мост“ (1950), „Вечер в Самегрело“ (1951), „Старая Гагра“ (1960), „Пейзаж“ (1960), „Кухня в Самегрело“ (1961), „Ботанический сад в Зугдиди“ (1961), „Старый Кутаиси“ (1962), „Двор в Гурии“ (1963), „У мельницы“ (1964), „Месхети“ (1965), „Имерети“ (1962 и 1965) и другие – как бы подготовительные этюды для станковых пейзажей, которые художник не успел осуществить. В этих работах Л. Дзадзамидзе простейшими средствами достигает приятного живописного эффекта. Однако, эта видимая простота, разумеется, плод большого опыта.

Леопольд Дзадзамидзе создавал пейзажи разных уголков нашей страны, но где бы ни работал, он всегда оставался верным собственному видению и чувством что не мешало ему выявлять характерные черты этих пейзажей. Простота, непосредственность и вместе с тем типичность являются творческой удачей художника. И самое главное то, что простота исходит из непосредственного переживания, а не из абстрактно-теоретических умозаключений. Этим же объясняется и степень художественной обобщенности в работах Л.Дзадзамидзе.

Для Л.Дзадзамидзе реальность всегда была определяющим фактором. Об этом свидетельствует его пейзаж 1965 года „Сванети“, с несколько тяжелым, серо-зелено-синим колоритом.

Где бы ни был художник, он всегда оставался верен своим принципам, открыто и с любовью смотрел на человека и мир.

Кто знает, каких высот достиг бы Леопольд Дзадзамидзе, если бы не жутко слепой случай, унесший его жизнь! Во всяком случае, его ясные, камерные по своему характеру работы, его творчество останутся в истории грузинского искусства, как пример беззаветного служения избранному делу, как зов открытого и чистого сердца.

Георгий Хуцишвили  
Кандидат искусствоведения  
1988 г.

## მხატვარი ლეოპოლდ ძაძამიძე

გამოჩენილი ქართველი პეიზაჟისტი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი ლეოპოლდ ევგენის ძე ძაძამიძე დაიბადა 1922 წლის 20 ნოემბერს ზუგდიდში. იგი სამეგრელოში და სრულიად საქართველოში XVIII საუკუნიდან ცნობილი ზუგდიდელი ოქრომჭედლების ოჯახის შთამომავალი იყო. მის წინაპართა შორის იყვნენ პაპუნა მეუნარგიას და ა.კეიღია მოწაფე ვახტანგ (ვახუ) გოჩას ძე და მისი ძმისშვილები და მოწაფეები კონსტანტინე ისმაილის ძე და ფილუ ისმაილის ძე (1877-1963) ძაძამიძეები.

მხატვრობისადმი მიდრეკილება პატარა ლეომ ადრევე გამოამჟღავნა და ამით განისაზღვრა მისი მომავალი ინტერესების სფერო.

ფერწერის ხელოვნებას იგი თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლისას (1941-1947) ცნობილ პეიზაჟისტთან ალექსანდრე ციმაკურიძესთან დაეუფლა. მის სადიპლომო ნამუშევარს - „დასვენება“, ხელმძღვანელობდა ცნობილი ოსტატი აპოლონ ქუთათელაძე. 1955 წლიდან ახალგაზრდა მხატვარი მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში. 1964 წლიდან გახდა საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. ცხოვრობდა თბილისში, მხატვრების სახელგანთქმულ სახლში - კავსადის N4-ში.

ლეოპოლდ ძაძამიძე მიეკუთვნება ქართველ ორმოცდაათიანელ მხატვართა თაობას, იმ ახალგაზრდა შემოქმედთა ჯგუფს, რომელმაც განაახლა ქართული სახვითი ხელოვნების ენა

50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იანი წლების დასწყისში. მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები - ახალი ხედვა და იდეები, გამახვილებული ინტერესი ფორმის, ინდივიდუალური ხელწერის ძიებისადმი, განსაკუთრებული ყურადღება ფერისადმი, ემოციურობა, მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ლეოპოლდ დაძამიძის მხატვრობისთვისაც.

ლეოპოლდ დაძამიძის ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრება სულ ორ ათეულ წელს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში მან შექმნა ქართული პეიზაჟური ხელოვნების მნიშვნელოვანი შენაძენი - რამდენიმე ასეული ტილო, რითიც დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართული ხელოვნების ისტორიაში.

საქართველოს ბუნება, მისი კუთხეების შვენიერება მხატვრის დაკვირვების, შესწავლის, ხატვის მთავარი ობიექტი იყო. მან ფეხით შემოიარა და აღბეჭდა - აჭარა, მესხეთი, სვანეთი, ქართლი, იმერეთი, გურია...

და მაინც ლეოპოლდ დაძამიძის შთაგონების მთავარი წყარო მშობლიური სამგერელო იყო. მისი შვენიერი ბუნება მნიშვნელოვან სტიმულს აძლევდა მხატვრის შემოქმედებით ფანტაზიას. განსაკუთრებული სიყვარულით ხატავდა სამეგრელოს მთიანი სოფლების, ზუგდიდის ხედებს წელიწადის სხვადასხვა დროს, აღბეჭდავდა განსხვავებულ ამინდსა და განათების პირობებში - ხან მზიან, ხან ავდრიან დღეებს, დილას, საღამოს, შუადღისას ... შექმნილი სურათები ერთდროულად კონკრეტული ხედის ამსახველიცაა და ამავდროულად განზოგადებულიც. რეალური ბუნება ტილოზე გარდაიქმნება თავად ავტორის შინაგანი განწყობის კვალდაკვალ... ასეთებია „შემოდგომა სამეგრელოში“ (1958), „ბოტანიკური ბაღი ზუგდიდში“ (1961), „ევკალიპტები“ (1958), „ზამთარი ცაიში“ (1959), „მეგრული სამზადი“ (1961),



ლეოპოლდ დაძამიძე  
Leopold Dzadzamidze

„გაზაფხული სამეგრელოში“ (1961), „საღამო სამეგრელოში“ (1961), „სამეგრელო“ (1962) და სხვა.

ზუგდიდისადმი სიყვარულის გამომჟღავნება იყო მხატვრის მიერ უსასყიდლოდ შექმნილი დიდი თემატური პანო, რომელიც ოდესღაც ამშვენებდა ქალაქის ცენტრს (არ შემორჩენილა).

დღევანდელი გადასახედიდან სულ სხვაგვარად, ტკივილიან მოგონებებზე აღიქმება ლეოპოლდ ძაძამიძის თვალთ დანახული აფხაზეთი, მისი ქალაქებისა და სოფლების ხედები - „ძველი გაგრა“ (1958), „გაგრა (1958, 1959, 1959, 1961), „სოხუმი“ (1959), „ახალი ათონი“ (1959), „ტყვარჩელი“ (1961, 1962).

ლეოპოლდ ძაძამიძე აქტიურად მონაწილეობდა დიდი ქართველი მხატვრის, ელენე ახვლედიანის ინიციატივით ჩამოყალიბებულ მხატვართა ჯგუფში. მათთან ერთად მოგზაურობის დროს არაერთხელ აღბეჭდა საქართველოს სხვადასხვა კუთხე. უმშვენიერესი ადგილები - „სვანეთი“ (1959), „სოფელი სიონი“ (1961), „სიღნაღის კუთხე“ (1962), „ქუთაისის კუთხე“ (1962), „ბაზალეთი“ (1962), „ვარძია“ (1962), „შემოდგომა“ (1963), „კახეთი“, „გელათი“ (1965), „ყაზბეგი“ (1965), „ანწყურის ციხე“ (1964), „სვანეთი“ (1965). დიდი ადგილი მხატვრის შემოქმედებაში უკავია თბილისის თემს - „ბამთარი თბილისში“ (1960), „თბილისის კუთხე“ (1962), „ბოტანიკური ბაღი“ (1962), „ძველი თბილისი“ (1962).

ბევრს მოგზაურობდა და მუშაობდა იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაღესტანში, ლიტვაში, ესტონეთში, ლატვიაში შექმნილ ნაწარმოებებს. გამოფენებზე განსაკუთრებული წარმატება ხვდა მის ლატვიურ ციკლს - „კლაიპედა“ (1964).

პეიზაჟების გარდა იგი რიგი საინტერესო პორტრეტის ავტორიცაა: „ლიტველი გოგონა“, „კახელი გლეხი“ (1962).

ფერმწერის შემოქმედებითი მიღწევები აღინიშნა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდებით (1964).

ტრაგიკული ბედის ოჯახის წარმომადგენელმა (5 და-ძმიდან 4 ნაადრევად გარდაიცვალა. ასევე ადრე დაკარგა მამა) თავადაც

ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე - შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გახდა. იგი 1966 წლის 17 დეკემბერს თბილისში გარდაიცვალა. განისვენებს ზუგდიდში, სამეგრელოს მხარის სახელოვან წარმომადგენელთა გვერდით. ბიუსტი საფლავისთვის კოლეგამ, ცნობილმა მოქანდაკემ ოთარ ფარულავამ შექმნა.

მხატვრის შემოქმედებითი სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა. მისი ნაწარმოებები წარდგენილი იყო მრავალ მნიშვნელოვან ექსპოზიციაზე - თბილისის „მხატვრის სახლში“, ფერწერის რეტროსპექტულ ე.წ. „თაობათა“ გამოფენაზე, მოსკოვში, საქართველოს სახვითი ხელოვნების რეტროსპექტულ გამოფენაზე. გაიმართა მისი ნამუშევრების არა ერთი პერსონალური გამოფენაც - პირველი მისი გარდაცვალების წლის თავზე მოეწყო ელენე ახვლედიანის სახელოსნოში (1967), შემდგომ თბილისის „მხატვრის სახლში“ (1982, 1989). მხატვრის უბედობა მის ნამუშევრებსაც შეეხო - 1991-92 წლის დეკემბერ-იანვრის თბილისის ტრაგიკული ომის დროს „მხატვრის სახლში“ მისი საუკეთესო ნამუშევრები იყო განთავსებული. ომის დროს განადგურდა საგამოფენოდ გადარჩეული სურათები, დაახლოებით 150 ფერწერული ნამუშევარი. თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ სურათების ნაწილი გადარჩა, მაგრამ მათი ადგილსამყოფელი დღემდე გაურკვეველია.

საბედნიეროდ, ოჯახმა, მისმა დისშვილებმა, ცნობილმა ექიმებმა, პეტრე და ნუგზარ უბერებმა შეძლეს შემოენახათ მხატვრის შემოქმედების გარკვეული ნაწილი, ის, რაც ამჟამად ქართული პეიზაჟური ფერწერის სიამაყეს წარმოადგენს. ლეოპოლდ ძაძამიძის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, დიმიტრი



ზედა რიგი მარცხნიდან: ნატალია ფალავანდიშვილი, ელენე ახვლედიანი, ?, ცისია შანშიაშვილი, ანა შალიკაშვილი, თამარ გუგეშაშვილი  
ქვედა რიგი: ნათელა ლიბრაძე, მარგარიტა თუშმალიშვილი, ლეოპოლდ ძაძამიძე, ეთერ ანდრონიკაშვილი, თათუშა კარტოზია

შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეასა და ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

ალბათ, დადგება დრო, როდესაც მოიძებნება დაკარგული ნამუშევრები, შესაძლებელი იქნება მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობის თავმოყრა და ხელოვნების, ქვეყნის ბევრი

მოყვარული შეძლებს დააფასოს, შეაფასოს მშვენიერი საქართველოს ხიბლი, რაც უკვდავყოფილია ლეოპოლდ ძაძამიძის ფერწერულ სამყაროში.

ნინო ბაალიშვილი  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

## ფერმწერის გახსენება

ქართულ პეიზაჟურ ფერწერას თუმც არცთუ ვრცელი ისტორია, მაგრამ მდიდარი და თვალსაჩინო მონაპოვრები გააჩნია. თუ ჯერ კიდევ 50-იან წლებამდე პეიზაჟის ჟანრში ერთეულები მუშაობდნენ, ქართველ მხატვართა ახალი თაობის მოსვლასთან ერთად დიდად გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა ამ სფეროში შექმნილი მხატვრული საგანძური. კვლავაც იქმნება მრავალი საინტერესო ტილო, რასაც თვალსაჩინოდ მონშობს რიგით თუ რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი პეიზაჟური ქმნილებები.

ლევ ძაძაშიძე იმ მხატვართაგანია, ვისი შემოქმედებაც მკაფიოდ თავისებური, გამორჩეული ხმით შეერწყა უახლეს ნაკადს ქართული ფერწერის ამ ჟანრში.

50-იან წლებში ქართული მზიური პეიზაჟის მომღერალი ციმაკურიძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ახლადშექმნილ პეიზაჟურ სახელოსნოს ხელმძღვანელობს და თავის მდიდარ გამოცდილებას შთაგონებით უზიარებს ახალგაზრდა მხატვრებს. პირველი სტუდენტი, ვინც მაშინ მისი სახელოსნოდან გამოვიდა, გახლავთ დღეს უკვე კარგად ცნობილი, ნიჭიერი პეიზაჟისტი მიხეილ ხვიტია.

ლევ ძაძაშიძე, ისევე როგორც მიხეილ ხვიტია, ქართულ მხატვრობაში ორმოცდაათიან წლებში მოსულ თაობას მიეკუთვნება, საქართველოს მხატვართა კოლექტივს იგი გამოაკლდა ამ რვა წლის წინათ. მაგრამ მიუხედავად ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრებისა, ქართულ ფერწერაში დატოვა სრულიად თვალსაჩინო კვალი, დატოვა მრავალი, შთაგონებითა და მღელვარებით

შექმნილი ტილო, ალბეჭდილი გულწრფელი და მართალი, ნათელი ხედვით, ბუნების მშვენიერების ღრმა განცდით.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ლეო ძაძამიძე პეიზაჟური ფერწერის განხრით როდი ოსტატდებოდა, აბოლონ ქუთათელაძის სახელოსნოში მეცადინეობდა და თავდაპირველად თავის მონოდებას ჟანრულ-ბატალურ ფერწერაში ხედავდა. მაგრამ, აი, დამთავრდა სწავლის წლები და ახალგაზრდა მხატვარი მშობლიურ ზუგდიდს დაუბრუნდა. აქ დაიწყო მისი დაინტერესება პეიზაჟით. დაიწყო ნელა, თანდათან. ამ დაინტერესებას განსაკუთრებული ბიძგი მისცა შემოქმედებითმა დაახლოებამ და დამეგობრებამ თავის კოლეგასთან, მიხეილ ხვითიასთან, რომელიც აგრეთვე ზუგდიდის მკვიდრია და რომლის შემოქმედებასაც თვალსაჩინო ადგილი უკავია.

დაიწყო მხატვრების ერთობლივი მოგზაურობა მშობლიურ მიწა-წყალზე. საეტიუდო ყუთებითა და საღებავებით შეიარაღებულნი, ისინი ადრიატიკიდან დილიდამდე გვიან დაღამებამდე ბუნების წიაღში ატარებდნენ. განსხვავებული ინტერესები და სურვილები, განსხვავებული ამოცანები ჰქონდათ და ეს არც გასაკვირია, რამდენადაც ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს სწორედ საკუთარის ძიება და მიგნება მოუპოვებს ხოლმე ადგილს ხელოვნებაში. მაგრამ მხატვრული ინტერესების სხვადასხვაგვარობას მათთვის არასოდეს შეუშლია ხელი შემოქმედებით მეგობრობაში. პირიქით, ურთიერთმიგნებები, მხატვრული პრობლემების შესახებ აზრთა და გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება - ყოველივე ეს ორივე ფერმწერს შემოქმედებითად ამდიდრებდა, ამავე დროს, თითოეული მაინც საკუთარი გზით მიდიოდა, საკუთარი ხედვისა და მსოფლშეგრძნების ერთგული რჩებოდა.



ლეოპოლდ ძაძამიძე  
Leopold Dzagmadze

ასე ყალიბდებოდა ლეო ძაძამიძის, როგორც პეიზაჟისტის შემოქმედებითი სახე. ის სტილისტურ-მხატვრული თავისებურებანი, რამაც განვითარება ჰპოვა მხატვრის შემდგომ ქმნილებებში, სწორედ ამ საწყის ეტაპზე, ეტიუდებზე მუშაობის პირველ პერიოდში ჩაისახა და გამოვლინდა.

თუ მიხეილ ხვითას პეიზაჟური ტილოების უმრავლესობისათვის იმთავითვე ნიშანდობლივი იყო ლირიკული საწყისი, განსაკუთრებული მთრთოლვარება და შინაგანი მოძრაობა, ლეო ძაძამიძის ნამუშევრების ემოციური ჟღერადობა მათ მაჟორულობასა და ფართო, რამდენადმე დეკორატიულობით აღბეჭდილ ხედვაშია, ეს მაჟორულობა, მღელვარე ფერწერული დინამიკა თანდათან უფრო მკაფიო გამოვლენას აღწევს მხატვრის ტილოებში. თუ შევადარებთ ამ მხრივ მის ადრინდელ ნამუშევრებს ბოლო პერიოდის ქმნილებებს, აშკარად დავინახავთ, თუ რაოდენ მკვეთრად, ნათლად ისახება ფერმწერის შემოქმედებითი ინტერესები, მისეული აღქმა სინამდვილისა, რაოდენ დიდია მხატვრის სწრაფვა - ბუნების, პეიზაჟის ესა თუ ის მოტივი აღბეჭდოს ფერწერული სახიერებით, მიაღწიოს ცალკეული ფერებისა და ტონების მთელი ხმით აჟღერებას და ამავე დროს შერწყას ისინი ერთ ჰარმონიაში, ერთ ლამაზ სიმფონიად აქციოს.

ლეო ძაძამიძის ტილოების ფერწერული ჟღერადობა არასოდეს არ არის, ასე ვთქვათ, განყენებული და თავისთავადი, მხოლოდ გარეგნული ეფექტისთვის გამიზნული, როგორსაც ხანდახან ზოგიერთი მხატვრის შემოქმედებაში ვხვდებით ხოლმე. მას საფუძვლად უდევს თვით ბუნების, რეალური გარემოს ხასიათისა და განწყობილების ღრმა შეგრძნება, შემოქმედის უშუალო, ცხოველი შთაბეჭდილება, აღტაცება პეიზაჟის ცვალებადი და განუმეორებელი მშვენიერებით, ამა თუ იმ მდგომარეობით, მომენტით.

თვით ბუნების მოტივის შერჩევა, სახოვანად მეტყველი კომპოზიციური და ფერადოვანი გადანწყვეტის მიგნება, მხატვრის ღრმა ალღობე, ფაქიზ გემოვნებასა და პეიზაჟისტის უტყუარ გრძნობაზე მეტყველებს.

მას შემდეგ, რაც მშობლიური კუთხის ბუნებამ დახვეწა ლეო ძაძამიძის თვალი და ფერწერული ოსტატობა, აზიარა იგი მრავალ საიდუმლოს, მხატვარი უკვე ფართო ასპარეზს არჩევს. იგი დაუღალავად მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სულ უფრო ლაღი, მოქნილი და დარწმუნებული ფუნჯით ტილოზე გადააქვს მრავალფეროვანი შთაბეჭდილება, სულ სხვადასხვა იერისა და ხასიათის პეიზაჟური მოტივები. ასე იქმნება მთელი ციკლი, მთელი სერია ამა თუ იმ კუთხის პეიზაჟებისა, ამასთან, თითოეული ეს ციკლი როდია ერთფეროვანი და ერთსახოვანი, ყოველი ცალკეული ტილო - ეს არის განუმეორებელი, მაგრამ ორგანული ნაწილი მთელი სერიისა.

ლეო ძაძამიძის პეიზაჟური ქმნილებები სულ უფრო და უფრო იმსახურებს აღიარებას. მხატვრის შემოქმედებით ნაყოფიერებაზე, ინტენსიურ და შთაგონებულ შრომაზე მეტყველებენ მისი ტილოები ყოველ გამოფენაზე. დიდი წარმატება ხვდა ძაძამიძის პეიზაჟებს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დროს 1958 წელს და შემდგომ წლებში გამართულ საკავშირო გამოფენებზე.

თბილისში მოწყობილი ყოველი ახალი ექსპოზიცია მხატვრის ახალ შემოქმედებით მონაპოვარს ცხადყოფდა. რიცხვმრავალი მისი ტილოები გამოირჩეოდა ხოლმე განსაკუთრებული, თავისებური, ძაძამიძისეული ფერწერული ცხოველმყოფელობით, გაბედული და მომხიბლავი ფერადოვანი აქცენტებით, თითქოს ფუნჯის ერთი მოქნევით დაწერილი ლაჟვარდოვანი ცითა თუ ხალასი სიმწვანით მოშრიალე ხეებით. საქართველოს ყოველმა კუთხემ ჰპოვა ასახვა ლეო ძაძამიძის სურათებსა და ეტიუდებში. თითოეულ ამ ნაწარმოებში, რომლებიც ერთი შეხედვით ტექნიკურად ესოდენ თავისუფლად და ცხოველხატულადაა

დანერილი, თითქოს ერთ სეანსშიაო შესრულებული, იგრძნობოდა მხატვრის სწრაფვა - საკუთარი, თავისებური სიცოცხლე მიანიჭოს პეიზაჟის თითოეულ ფორმას, მთასა და ხეს, ზღვასა და ბუჩქნარს...

ნო-იან წლებში ლეო ძაძამიძე მხატვართა იმ ჯგუფშია, რომელიც საქართველოს სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში და ფერწერულ ეტიუდებში თუ გრაფიკულ ჩანახატებში გატაცებით აღბეჭდავს მშობლიურ პეიზაჟებს.

ლეო ძაძამიძის შემოქმედებით მემკვიდრეობაში რამდენიმე ციკლი გამოირჩევა ეს არის დასავლეთ საქართველოს დიდი ციკლი, სვანეთის, ბორჯომის ხეობის, კახეთის, ქუთაისის, ყაზბეგის მიდამოების ამსახველი სერიები, ეს არის დაღესტნური ჩანახატები და ბოლოს - ბალტიისპირეთში შექმნილი მრავალრიცხოვანი ტილოები.

მხატვრის ამ მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობის თვალის გადავლება ცხადყოფს, რომ შესატყვისად ბუნების ხასიათისა, განწყობილებისა და მდგომარეობისა, ტილოებზე იცვლება საღებავი, ფერთა ხმირება, იცვლება თვით შესრულების ტექნიკა. შემოქმედი წერს ფუნჯის ხან ფართო, ტემპერამენტული მონასმებით, ხან უფრო მშვიდი და გულდასმითი მოდელირებით. ზოგჯერ საღებავის ქვეშ გამოჩანს ტილოს თეთრი გრუნტი და ეს ხერხი იმდენად მხატვრულადაა გამოყენებული, რომ ქმნის ფორმათა და ფაქტურის ნაირგვარობას, ბუნების შინაგანი სიცოცხლის, დინამიკის, მოძრაობის შთაბეჭდილებას.

არიან პეიზაჟისტები - ლირიკოსები, არიან დიდებული ცხოველხატული პანორამის მოტრფიალენი. თითოეულს თავისი საყვარელი თემატიკა და მოტივი იზიდავს. ლეო ძაძამიძეს ერთნაირად ხიბლავს და ატყვევებს როგორც ბუნების ილუმალეობა,

მშვიდი და ნაღვლიანი მდგომარეობა, ისე ხალისიანი, ფერადოვანი ხმირებით ამღერებული მზიური პეიზაჟები.

მხატვრის სათუთ ლირიკულ-პოეტურ განწყობას ამჟღავნებს მრავალი ტილო. გვახსენდება „მეგრული სამზადი სახლი“. შემოდგომაა, ცეცხლოვან-ოქროსფერი ფოთლებისაგან იძარცვებიან ხეები, რომელთა ქვეშ მიყუჟულა ძველი ოდა, ჟამთასვლისაგან ჩამუქებული კედლებითა და სახურავით. ფერთა ორი განსხვავებული სამყაროა წარმოდგენილი ჩვენს თვალწინ, ნათელი, გამჭვირვალე ფერებით აღსავსე, მოძრავი და მსუნთქავი ბუნება და მუქი, ბნელი სილუეტი ძველი სახლისა, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია ადრინდელი მოხაზულობა, თავისებური სითბო და სიმყუდროვე.

განსხვავებულ ემოციებს აღძრავს სურათი, „წისქვილთან“. პანანინა ნაგებობა ჩამჯდარა ზურმუხტოვან, მაღალ მთა-გორებს შორის. ფართოდ, დიდი ფერადოვანი ლაქებით, ზოგადად და დეკორატიულად წარმოსახავს ამ პეიზაჟურ მოტივს ფერმწერი. მშობლიური ბუნების დიდებულ და ცხოველხატულ პანორამას გადაშლის მაყურებლის თვალწინ.

ფერთა ჰარმონიისა და მშვენიერების სათუთ შეგრძნებას ნათელყოფს პეიზაჟი „ბორჩალო“. მასზე გვიანი შემოდგომის შთაბეჭდილება, პოეტური სურათია წარმოსახული: თოვლით დაფარული შორეული მთები, წინა პლანზე ოქროსფერ-აგურის-ფერით შეფერილი მიდამოები, ლურჯი ზეცა და გამჭვირვალე ჰაერი მოახლოებული ზამთრის სუსხს გვაგრძნობინებენ. ლეო ძაძამიძეს უყვარს ფერადოვანი, ხმიერი აკორდების შექმნა ტილოზე და ისევე როგორც მუსიკოსი, სხვადასხვა ნაწარმოებში, იგი ნაირგვარად აჟღერებს ამ აკორდებს. ფერთა მუსიკალობის ურთიერთჰარმონიული შეხამების მეტყველი ნიმუშებია

აგრეთვე სურათები ქუთაისური სერიიდან. აქაც მხატვარი ისწრაფვის გადმოსცეს თვით ბუნებაში ესოდენ მხატვრულად შეპირისპირებული ფერადები, გადმოსცეს ის ლამაზი ეფექტი, რასაც ქმნის ამა თუ იმ ფერის მეზობლობა მასთან კონტრასტულ ფერთან.

ლეო ძაძამიძე ღრმა ინტერესითა და შემოქმედებითი შთაგონებით მუშაობს წლის ყოველ დროს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას შესრულებული მისი ტილოები ხან თოვლის ფაფუკ სამოსელში გახვეულ მიდამოებს წარმოგვისახავს, ხანაც გაზაფხულის თუ შემოდგომის ცხოველ სურნელებას გვაგრძნობინებს.

სვანეთის ცხოველხატული ბუნება, მისი კოლორიტული კუთხეები და დიდებული შთაგონიანი პანორამა შთაგონების ერთ-ერთ უშრეტ წყაროდ იქცა მხატვრისათვის. ამ თემაზე შეიქმნა ციკლი სურათებისა, რომელიც თავისი მაღალმხატვრულობით საპატიო ადგილს იჭერს მხატვრის შემოქმედებით მემკვიდრეობაში. შთამბეჭდავად აისახა ძაძამიძის ტილოებში ყაზბეგის მთიანი პეიზაჟებიც, თოვლიანი მწვერვალები თუ მთის მწვანე კალთებში მიყუჟული სოფლის სახლები, აისახა ბორჯომის ხეობა, ძველი ციხესიმაგრეები... ჩანაფიქრისა და მოტივის შესატყვისად მხატვარი აგნებს მეტად სახოვან, გამომსახველ კომპოზიციურ წყობას, რათა ხაზი გაუსვას ადგილმდებარეობის ხასიათს, მის უჩვეულობასა და თავისებურებას.

ბალტიისპირეთში მოგზაურობისას შექმნილი ნაწარმოების ციკლი კვლავ მეტყველებს მხატვრის ღრმა შთაბეჭდილებებზე, რაც განპირობებულია ამ ერთ-ერთი ულამაზესი ბუნებისა და არქიტექტურული გარემოს ხილვით. ფერმწერის ეს ცხოველი შთაბეჭდილება ფიქსირებულია დიდსა თუ მცირე ზომის ტილოებში,

ფიქსირებულია მხატვრისათვის ჩვეული ფაქიზი და მღელვარე განცდით თითოეულ მონასმში, თითოეულ ფერადოვან ლაქაში ჩაქსოვილია შემოქმედის სწრაფვა ფერების ენაზე გადმოსცეს ლაჟვარდოვანი ზღვის გამჭვირვალება თუ ქვიშიანი სანაპიროს ოქროსფერი ელვარება, ხალხმრავალი ბაზრის სიჭრელე თუ ეროვნული არქიტექტურის განუმეორებელი იერი...

ტალინის მესამე ფასადს - ქალაქის ხედს ზემოდან ბევრი მხატვრის ყურადღება მოუზიდავს. მისი მეტად თავისებური არქიტექტურული და ფერადოვანი სილამაზისადმი გულგრილი არც ლეო ძაძამიძე დარჩენილა. ნაგებობათა სახურავების გეომეტრიული კონფიგურაცია, მოხდენილი ფერადოვანი რიტმი გამომსახველ დეკორატიულ სანახაობად აღუქვამს მხატვარს და ასევე აღუბეჭდავს ტილოზე. ტალინის კუთხეები, მისი მოედნები მხატვარს აღწერილი აქვს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ამინდში, ხან მზით გასხივოსნებული, ხან წვიმასა და ნისლში.

გარკვეული ადგილი დაიჭირა ლეო ძაძამიძის შემოქმედებაში დალესტანმაც. თავისი რელიეფით, გარემოთი და ხალხის თავისებური ყოფით ეს მეტად საინტერესო მხარე მხატვარმა ფართოდ განზოგადებულად გადაიტანა საღებავებში. ტილოებზე აღიბეჭდა სოფლების შორეული ხედები და მისი მყუდრო კუნტულები. კომპოზიციურმა ხატოვანებამ, ტიპური შტრიხების მიკვლევამ ეს სერია მხატვრის მორიგ წარმატებად აქცია.

მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო მხატვარი, როგორი ახალი და უჩვეულო შთაბეჭდილებებით არ უნდა აღვსილიყო შემოქმედის სული, იგი შთაგონების უღვევ წყაროს მაინც მშობლიურ გარემოში პპოვებდა. უღვევი და ამოუწურავი იყო ეს წყარო, რამდენადაც უსასრულოდ მრავალფეროვან მშვენიერებას აზიარებდა მხატვარს.



ქვედა რიგი - გივი თოიძე, ნათელა ღიბრაძე; მეორე რიგი მარცხნიდან - თათუშა კარტოზია, ?, ?, ნატალია ფალავანდიშვილი, მარგარიტა თუშმალიშვილი, ელენე ახვლედიანი, ანა შალიკაშვილი, თამარ გუგეშაშვილი, ლეოპოლდ ძაძამიძე

ლეო ძაძამიძეს უკვე იმდენი პქონდა შექმნილი, რომ ვრცელი პერსონალური გამოფენის მოწყობაზე ფიქრობდა, მაგრამ რაღაც ბრმა შემთხვევის გამო იგი სრულიად მოულოდნელად გამოაკლდა ქართველ მხატვართა რიგებს. დღეს მისი ხელოვნება კვლავ სიხალისით, თანამედროვეობის სუნთქვით, პოეტური გზნებითა და მზიური საღებავებით აღსავსე წარმოსახვა ჩვენს თვალწინ. ლეო ძაძამიძის ფერწერა – ეს ის ფერწერაა, რომელსაც დრო

ასე ადვილად ვერ გაახუნებს და ვერ მოაძველებს. ვერ გაახუნებს იმიტომ, რომ ის შექნილია ჭეშმარიტი შემოქმედის გულწრფელი, შთაგონებული ხილვის შედეგად.

ლეილა თაბუკაშვილი  
ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“  
1975 წ. N2. გვ. 83-86

## შთაგონებული პეიზაჟისტი

**თ**ბილისის სურათების გალერეაში ამ რამდენიმე ხნის წინ ლეო ძაძამიძის ნამუშევართა გამოფენა გაიმართა. აგერ უკვე თხუთმეტი წელია მისი ტილოები აღარ გამოჩენილა ჩვენი სამხატვრო გამოფენების ექსპოზიციებში. ბრმა შემთხვევამ მოულოდნელად გამოაკლო ფერმწერი ქართველ მხატვართა კოლექტივს, სწორედ მაშინ, როცა დაუდგა დრო შემოქმედებითი ანგარიშისა და მხატვარიც უდიდესი მღელვარებით ემზადებოდა ამ ანგარიშისათვის.

ლეო ძაძამიძე უხვი ბუნებით შემოვიდა ქართულ პეიზაჟურ ფერწერაში. ეს სიუხვე არა მხოლოდ მის შემოქმედებით ნაყოფში იხატებოდა, არამედ თვით სათქმელის სიცხოველესა და მგზნებარებაში. მხატვრის ტილოების უსაზღვროდ მრავალფეროვანი ემოციურ-პოეტური შინაარსი, ფართო გეოგრაფია, მოტივთა სიმდიდრე მათ ავტორს წარმოგვიდგენს შთაგონებულ პეიზაჟისტად, რომელსაც ხელეწიფება დაინახოს, შეიგრძნოს და საღებავებით ააჟღეროს ბუნების სურათები მის უსასრულო და უმშვენიერეს ცვალებადობაში.

ლეო ძაძამიძემ 1947 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, სადაც ჟანრულ-ბატალურ სახელოსნოში სწავლობდა აპოლონ ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. პეიზაჟის ჟანრით მისი განსაკუთრებული დაინტერესება დაიწყო უფრო გვიან, როცა იგი, კურსდამთავრებული, მშობლიურ ზუგდიდს დაუბრუნდა. ამ დაინტერესებას და ჟანრის

სპეციფიკურ სირთულეებში ჩაღრმავებას უთუოდ ბიძგი მისცა შემოქმედებითმა დამეგობრებამ დღეს უკვე ცნობილ პეიზაჟისტთან, მიხეილ ხვითასთან, რომელმაც ასევე მაშინ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც პეიზაჟურ სახელოსნოში აღექსნადრე ციმბაკურიძის ხელმძღვანელობით ოსტატდებოდა.

ახალგაზრდები ბევრს მოგზაურობდნენ მშობლიურ მიწა-წყალზე და ბუნების წიაღში, ეტიუდების სახით, უმდიდრეს მასალას იძენდნენ მომავალი სურათებისათვის.

ამ ჟანრში ინტენსიური მუშაობის საწყის ეტაპზევე გამოვლინდა ლეო ძაძამიძის შემოქმედებითი მონაცემები. კოლორისტის ტალანტით დაჯილდოებული, ბუნების უფაქიზეს შეგრძნებასაც ამჟღავნებს და ტილოებზე აცოცხლებს მის ამოუწერავად მრვალაფეროვან მშვენიერებას. მხატვრის ნამუშევრებმა იმთავითვე მიიპყრო ყურადღება და აღიარება მოუპოვა მათ ავტორს, როგორც ერთ-ერთ საინტერესო პეიზაჟისტს.

60-იან წლებში ლეო ძაძამიძე მხატვართა იმ ჯგუფშია, რომელიც საქართველოს სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის ხელმძღვანელობით მოგზაურობს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში. ამ მოგზაურობებმა დიდად გაამდიდრა მხატვრის პალიტრა. გააფართოვა მისი შემოქმედებითი თვალსაზრისი, გააღრმავა მხატვრული ამოცანები. ჩანაფიქრის, ბუნების ხასიათის, განწყობილებისა და მდგომარეობის შესატყვისად ტილოებზე იცვლება საღებავები, ფერთა ხმიერება, იცვლება თვით შესრულების ტექნიკა. შემოქმედი წერს ფუნჯის ხან ფართო, ლალი მონასმებით, ხანაც უფრო მშვიდი, გულდასმითი მოდელირება იგრძნობა. ზოგჯერ საღებავების ქვეშ მოჩანს ტილოს თეთრი ზედაპირი და ეს ხერხები სახვითად ისეა გამოყენებული, რომ ქმნის ფორმათა და ფაქტურის ნაირგვარობის, ბუნების სუნთქვის,

შინაგანი მოძრაობის შთაბეჭდილებას. მხატვარს ძალუძს უფაქიზესი ინტონაციური შეფერილობით გახსნას ემოციური შინაარსის მხრივ განსხვავებული პეიზაჟური მოტივები - ბუნების იდუმალი, მშვიდი და ნაღვლიანი მდგომარეობა თუ ხალისიანი, ფერადოვანი ხმიერებით ამღერებული მზიური გარემო. და არა მხოლოდ სუფთა და გამჭვირვალე ფერთა ეს ცხოველმყოფელი ჰარმონია ხიბლავს მნახველს ძაძამიძისეულ ტილოებზე, არამედ თვით ხატოვანი კომპოზიცია, დანახვის წერტილის შერჩევა, რაც, ფერადოვან ქსოვილთან ერთად, ესოდენ სახიერად წარმოსახავს ამა თუ იმ კუთხის, ადგილის, ხედის ხასიათს, თავისებურებას.

ლეო ძაძამიძის შემოქმედებით მემკვიდრეობაში რამდენიმე ციკლი გამოირჩევა. ეს არის დასავლეთ საქართველოს ვრცელი ციკლი, სვანეთის, ბორჯომის ხეობის, კახეთის, ქუთაისის, ყაზბეგის მიდამოების ამსახველი სერიები, ეს არის დაღესტნური სურათები, და ბოლოს, ბალტიისპირეთში შექმნილი მრავალრიცხოვანი ტილოები.

ლეო ძაძამიძის ღრმად შთამბეჭდავი, ეროვნული ხელოვნება დღესაც კვლავ პოეტური გზებითა და ფერწერული ელვარებით წარმოსდგა ჩვენს თვალწინ. მხატვრის ფერწერა - ეს ის ფერწერაა, რომელსაც დრო ასე ადვილად ვერ გაახუნებს და ვერ გააფერმკრთალებს. ვერ გააფერმკრთალებს იმიტომ, რომ მხურვალე და გულწრფელი სულის გამოძახილია.

ლეილა თაბუკაშვილი  
ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“  
1982 წ. N8 გვ. 95-96

... 1960 წელს თბილისში გაიმართა ელენე ახვლედიანის ნამუშევრების გრანდიოზული პერსონალური გამოფენა, რომელზეც იგი წარდგა, როგორც პეიზაჟის ნამდვილი ოსტატი საკუთარი თემებითა და ხედვით, მდიდარი პალიტრითა და გამოსახვის მრავალფეროვანი საშუალებებით. საყოველთაო აღიარების მიუხედავად, მხატვარს ჰქონდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა რომ ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი საქართველოს ბუნების განუმეორებელი სილამაზის ამსახველი ტილოები, რომლებიც მთელ მსოფლიოში გაუთქვამდა სახელს ამ ქვეყანას. ელენე ახვლედიანი ფიქრობდა, რომ აუცილებელი იყო პეიზაჟისტა სკოლის ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი პრინციპი იქნებოდა არა სტუდიური მუშაობა, არამედ ეტიუდების ღია ცის ქვეშ შექმნა. თავის მისიას მხატვარი ხედავდა არა პედაგოგიურ საქმიანობაში, არამედ მხატვართა პლენერზე გაყვანაში, რათა ბუნებას თავად ესწავლებინა მათთვის საკუთარი მხატვრული ხედვისა და დამოუკიდებლობის გამომუშავება.

და აი, 1961 წელს ელენე ახვლედიანი აყალიბებს სხვადასხვა ჟანრში მომუშავე მხატვართა ჯგუფს: ლეოპოლდ ძაძამიძე, პეტრე ბლიოტკინი, რუსუდან ჯავრიშვილი, მ.თარიშვილი, თ.ნალბანდიანი, ი.გიგოლაშვილი, მ.ამირხანოვა, ვ.ბელეცკაია, ნ.ჩერნიცაია, ანა შალიკაშვილი, ეთერ ანდრონიკაშვილი, ნატალია ფალავანდიშვილი, ნ.ჩიქოვანი, ნათელა ღიბრაძე, გ.ცერაძე, გივი თოიძე, მედეა თუშმალიშვილი, ცისია

შანშიაშვილი, თამარ გუგეშაშვილი. საგულისხმოა, რომ უკვე ცნობილი მხატვრების გვერდით ექსპედიციის მონაწილეთა შორის იყვნენ სტუდენტებიც: ნ. მაყაშვილი და ა. კაკაბაძე.

ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო მთათუშეთით და, შემდგომ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოიარა. პლენერისტა ჯგუფით ახვლედიანმა, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა პეიზაჟისტა ახალ სკოლას, რომელსაც ამოცანად დაუსახა უკვე შექმნილი, თუნდაც გენიალური სტერეოტიპებისაგან გათავისუფლება და საკუთარი ხედვის გამომუშავება... ქალბატონი ელენეს ძალისხმევამ, უდავოდ, თავისი წვლილი შეიტანა ქართული პეიზაჟური მხატვრობის შემდგომი განვითარების საქმეში. ექსპედიციები თბილისის შემოგარენსა თუ საქართველოს მთასა და ბარში, პერიოდული შემოქმედებითი ანგარიში ყოველი ექსპედიციის შემდეგ თემატური გამოფენის სახით სრულდებოდა, რომელიც ფართო საზოგადოებისა და სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში იყო...

ლია ბუაძე

ხელოვნებათმცოდნე

„ელენე ახვლედიანის ჯგუფის ნამუშევრები“. ოფტალმიკი  
არტგალერეა, 8 აპრილი 2016 წ.

... In 1960, a grandiose personal exhibition of Elene Akhvlediani's work held in Tbilisi presented her as a real master of landscape painting, as a painter with her own particular themes and vision, a rich palette of colors, and diverse modes of expression. But she remained unsatisfied despite general acclaim, for no paintings of Georgia's marvelous landscapes had succeeded in bringing the country the international recognition it deserved. Akhvlediani believed that it was necessary to establish a school for landscape artists whose main principle would be to eschew the studio in favor of painting en plein air. Her mission, she felt, was not to teach, but instead to take artists out into the open, where nature herself would show them how to develop their own artistic vision and attitudes.

And sure enough, in 1961, Akhvlediani brought together a group of artists of many different genres-artists such as Leopold Dzadzamidze, Piotr Bliotkin, Rusudan Javrishvili, M. Tandashvili, T. Nalbandiani, I. Gigolashvili, M. Amirkhanova, V. Beletskaya, N. Chernitskaia, Anna Shalikashvili, Eter Andronikashvili, Natalia Palavandishvili, N. Chikovani, N. Ghibradze, G. Tseradze, G. Toidze, Medea Tushmalishvili, Tisia Shanshiashvili and T. Gugeshashvili. It should be mentioned that students-notably N. Makashvili and A. Kakabadze – joined these well-established artists on their expedition.

The expedition began up in the mountains of Tusheti before travelling around the entire country. By founding a group of plein air artists, Akhvlediani essentially established a new school of landscape painting, whose members she tasked with ridding themselves of stereotypes, however brilliant, and developing their own individual vision. ... Akhvlediani's efforts doubtless contributed to the further development of Georgian landscape painting. Later expeditions travelled to the outskirts of Tbilisi and beyond, across the mountains and plains of Georgia, and thematic exhibitions were held after everyone as a kind of artistic account of their travels...

Lia Buadze  
Art Historian  
Ofthalmij Art Gallery. Tbilisi  
08. 04. 2016

## ფერმწერი ლეოპოლდ ძაძამიძე

